პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

1961 წ.

№ 95 (1731)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.

9
ეროვნული ბიბლიოთეკა



გუშინ, თბილისში „ბურევესტნიკის" სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა III საზაფხულო სპარტაკიადა.

აღლუმის მონაწილეებს—„განთიადის", „ლოკომოტივის", „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და რუსთავის საწარმოო კოლექტივების, სპორტული კლუბების სპორტსმენებს—მიესალმა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი მ. ბრეგვაძე.

სპარტაკიადის დაწყების ალამი აღმართეს მსოფლიო ჩემპიონებმა ვ. რუბაშვილმა და ა. ძორიძემ, რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენებმა გ. ჩადუნელმა, გ. სანიკიძემ, ა. ვაჩაძემ.

სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები დაიწყება დღეს დედაქალაქის გაზებზე

## ყველაზე

პირველი ქართველი ავიატორი ბესარიონ ქებურია! თავის დროზე ამ კაცის სახელი და საქმე საქართველოს ფარგლებს გაცდა. მას იცნობდნენ მოსკოვში ნიჟნინოვგოროდში, პეტერბურგში, ვარშავაში, პარიზში... ავიაციის საქმის მოყვარულებს იგი ახლაც ახსოვთ, იგონებენ მას, როგორც თავისი საქმის კარგ მცოდნეს, თავდადებულსა და გულად მფრინავს. მეც ვიცნობდი მას, მიყვარდა მასთან საუბარი. მის გარშემო მსხდომ პატარებს იგი ჩვენი საყვარელი „აეროპლანების" სამყაროში გადაგვიყვანდა ხოლმე. უკვე მოხუცი იყო, თუმცა ჭარმაგი და მუხლმაგარი, როცა დაბადებიდან 75 წლისთავზე საბჭოთა ავიაციის განვითარებაში დამსახურებისათვის დიდი ჯილდო — ლენინის ორდენი მიიღო. ჩვენი ავიაციის ბაბუას დაჯილდოების ამბავი პატარებმა გაზეთებიდან გავიგეთ. 1945 წლის მარტი იყო, დიდი სამამულო ომი დასასრულს უახლოვდებოდა. მამას ავეტორლიალეთ, ჩვენც გვინდოდა ბაბუა ბესარიონისათვის ჯილდოს მილოცვა. ტკბილად დაგვიხვდა, პატარებსაც მადლობა გვითხრა. უფროსების მასხს მივუგდეთ ყური. ლაპარაკობდნენ საბჭოთა არმიის ჯარისკაცების გმირულ ბრძოლაზე, ომის მოახლოებულ დასასრულზე. საუბარი ბოლოს საბჭოთა მფრინავებზე — ცის შევარდნებზე გადავიდა. ბესარიონი ჯერ დუმდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ყურადღებით ისმენდა. ერთხანს ხმას არ იღებდა, თითქოს ოცნებაშიაო

## მაღლა,

წასული და შემდეგ თვითონაც დაიწყო:

— მთელი ჩემი სიცოცხლე ავიაციას მოვახმარე. მე როცა ფრენა დავიწყე, რუსეთში, და არა მარტო რუსეთში, ევროპაშიც მფრინავები ერთეულებს წარმოადგენდნენ. ახლა, ახლა კი ჩვენ ბევრი შევარდენი გვყავს. ძველი საფრენი აპარატების თანამედროვე გიგანტურ აპარატებთან შედარება კი თითქმის უხერხულიცაა, მაგრამ მაშინ ხომ ავიაციის დაბადებას ვზეიმობდით, ახლა? ახლა მის [illegible] გამარჯვებას — დასვა კითხვა [illegible] პლეადის ავიატორმა და თვითვე უპასუხა. შემდეგ ოდნავ ჩაახველა და განაგრძო, — მეფის რუსეთის პირობებში ძნელი იყო გვეფიქრა იმაზე, რომ რამდენადმე სრულყოფილი საფრენი აპარატები შეგვექმნა. ახლა კი საავიაციო ტექნიკაში მანამდე არნახულ პროგრესს მივაღწიეთ. მაგრამ ერთ-ორ ათეულ წელში დღევანდელი მდგომარეობა მთლიანად შეიცვლება. ჩვენ ვიფრენთ ყველაზე შორს, ყველაზე მაღლა და ყველაზე ჩქარა. ვინ იცის ახდეს კიდეც ციოლკოვსკის

## ყველაზე

ოცნება ადამიანის მიერ უფრო შორეული სამყაროს — კოსმოსის დაპყრობისა...

გავიდა წლები და ჩვენმა ცის შევარდნებმა მიიღეს ისეთი თვითმფრინავები, რომლებიც ყველაზე შორს, მაღლა და სწრაფად დაფრინავენ. გამარჯვებას გამარჯვება მოჰყვება ხოლმე: წელს 12 აპრილს ჩვენს პლანეტას საბჭოთა ადამიანმა შემოუფრინა. ყველა ენაზე გაისმის ახალი წოდება „კოსმონავტი-მფრინავი". ამ წოდების პირველი მფლობელი და ჯერ განუმეორებელი სიმამაცის ჩამდენი იური გაგარინია. საბჭოთა ადამიანმა მეხუთე ოკეანის სიღრმეები დაიპყრო. კოსმოსზე შეტევა კვლავ

## სწრაფად

გრძელდება. ამაზე ოცნებობდა დიდი რუსი მეცნიერი კ. ციოლკოვსკი და სჯეროდა, რომ ეს მოხდებოდა. ეს სჯეროდა პირველ ქართველ ავიატორსაც — ბესარიონ ქებურიას.

ჯ. არბოლსელი

## ჰერკულესები ფიცარნაგზე

პირველი კითხვა, რომელიც თვითმფრინავიდან ჩამოსულმა ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩ. ვინჩიმ მისცა აეროდრომზე დამხვდურ საბჭოთა ძალოსნებს, იყო — გამოვიდოდა თუ არა ფიცარნაგზე ე. სტოგოვი.

და სწორედ ამ ორი ძველი მოწინააღმდეგის შეხვედრით დაიწყო აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ტრადიციული მატჩი ძალოსნობაში, რომელიც მოსკოვის სპორტის სასახლეში გაიმართა, აჭიმვას უპირატესობა არც ერთისათვის არ მოუტანია—107,5 კგ. ამერიკელთა მიერ „ქუნთურ საოცრებად" მონათლულმა ჩ. ვინჩმა ერთბაშად სცადა ვ. სტოგოვის ჩამოტოვება, მაგრამ გადაჭარბებით შეაფასა თავისი ძალები და ატაცში „0" მიიღო. ამით იგი ფაქტიურად გამოეთიშა შეჯიბრებას და ვ. სტოგოვმა სამჭიდში 337,5 კგ-ს დაგროვებით [illegible]ველი გამარჯვება მოუტანა საბჭოთა კავშირის გუნდს.

მსოფლიო რეკორდსმენმა ი. ბერგერმა და საბჭოთა ძალოსანმა მინაევმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ სამჭიდში ერთნაირი შედეგი აჩვენეს — 362,5 კგ. ი. ბერგერს საკუთარი წონა ნაკლები აღმოაჩნდა და გამარჯვებაც მას მიეკუთვნა.

ეს იყო ამერიკელთა პირველი და უკანასკნელი გამარჯვება ამ მატჩში: მსუბუქსა და ქვესაშუალო წონაში მათ მონაწილენი არ გამოუყვანიათ და ა. ჩუეინოვი და ა. კურინოვი უბრძოლველად გავიდნენ პირველ ადგილებზე.

საშუალო წონაში ამერიკელ ძალოსანთა მწვრთნელი ბ. გოფმანი დიდ იმედს ამყარებდა ტომი კონოს „დუბლიორ" ლ. რიკეზე. ვარაუდმა არ გაუმართლა მწვრთნელს, რიკემ პირველსავე მოძრაობაში „0" მიიღო და მაყურებლებში გადაინაცვლა. ამ წონაში გაიმარჯვა უზბეკეთის წარმომადგენელმა ი. რასჩესკინმა, რომელიც პირველად იცავდა საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას. მისი შედეგია 440 კგ.

მომდევნო წონით კატეგორიაში ა. ვორობიოვმა ადვილად ძლია ბ. მარჩის — 455 კგ.

მძიმე წონაში მსოფლიოს უძლიერესმა ძალოსანმა ი. ვლასოვმა თავისი მოწინააღმდეგე ს. ჰენრი სამჭიდში 77,5 კგ-ით ჩამოიტოვა და ატაცში 158 კგ-ს ჩვენებით კიდევ ერთი შესწორება შეიტანა საკავშირო რეკორდების ცხრილში.

## ცნობები სვერდლოვსკიდან

შეჯიბრების მეოთხე დღე კვლავ „უიღბლო" გამოდგა თბილისის „ბურევესტნიკისათვის". ტარტუს „კალევთან" შეხვედრაში ისინი დამარცხდნენ ანგარიშით 63:73. თამაშის პირველ ნახევარშიც წინ იყვნენ ესტონელი სპორტსმენები — 33:23. ამ დღეს კიევის არმიელებმა მოუგეს ალმა-ატის „ბურევესტნიკს" — 84:75, რიგის ვეფმა — ბაქოს „ბურევესტნიკს" — 68:53. სვერდლოვსკის „ტრუდმა" — ვილნიუსის „სპარტაკს"— 90:53.

სვერდლოვსკის „ტრუდის" წინააღმდეგ თბილისის „ბურევესტნიკმა" თამაში ასეთი შემადგენლობით დაიწყო: ლეჟავა, გლურჯიძე, კაზანჯიანი, ლომიძე, კაკაურიძე. თავიდანვე ანგარიში წაიყვანეს სტუდენტებმა და მათვე მოიგეს თამაშის პირველი ნახევარი — 38:33. შესვენების შემდეგ ანგარიში კვლავ იზრდებოდა ჩვენი კალათბურთელების სასარგებლოდ.

სრულიად ჩაკეტილი აღმოჩნდა სვერდლოვსკელი კანდელი, რომელიც სსრ კავშირის ნაკრების წევრია და, როგორც წესი, ყოველ მატჩში გამოირჩევა სნაიპერული სროლებით. შესანიშნავად თამაშობდნენ გლურჯიძე და კაკაურიძე. შეხვედრა მოიგეს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა — 70:65.

შეჯიბრების მეხუთე დღეს რიგის ვეფ-მა მოუგო ტარტუს „კალევს" — 59:54, ვილნიუსის „სპარტაკმა" — ალმა-ატის „ბურევესტნიკს" — 70:44.

# ყოველმხრივობა და არა ნაირმხრივობა

უკანასკნელ დროს ყოველმხრივობას და ნაირმხრივობას სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად კი არ მიჯნავენ ერთმანეთისაგან, არამედ უპირისპირებენ კიდეც, საქმე იქამდე მივიდა, რომ სპორტის ზოგიერთი მუშაკი როგორც ეტყობა, სწორად ვერ ერკვევა ფიზიკური აღზრდისა და ფიზიკური განვითარების საკითხებში, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ წინადადებას იძლევა, რომ ყოველმხრივობის გაგება შეიცვალოს ფიზიკური აღზრდისა და განვითარების „ნაირმხრივობის" გაგებით.

გავერკვეთ ყოველმხრივობის არსში, ყოველმხრივობა უნდა გვესმოდეს, როგორც ფიზიკური და ფსიქიური (სულიერი) თვისებების ჰარმონიული განვითარება, რომლის პროცესში თვითეულ ინდივიდუმში ვლინდება გარკვეული საქმიანობის ნიჭი. ეს ნიშნავს, რომ საქმიანობის ძირითადი სახეების ათვისების პროცესში, პიროვნებამ უნდა ჰპოვოს თავისი მოწოდება, გამოიყენოს ნიჭი ერთ-ერთ მათგანში, რომელშიც შეუძლია გამოავლინოს თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმი.

რაც შეეხება ორგანიზმის, მისი ფიზიკური სფეროს განვითარების ყოველმხრივობას, ამ შემთხვევაში იგი გაიგება, როგორც ფიზიკური მომზადების საშუალო დონემდე ინდივიდუმის ყველა სისტემისა და ორგანოს განვითარება. როცა ფიზიკური ვარჯიშების (ფიზიკური აღზრდის საშუალებათა) ძირითადი სახეების ათვისების პროცესში იქმნება პირობები მოტორული მოქმედების (სპორტის სახეობებში) ერთ, ან რამდენიმე სახეშიც კი მაქსიმალურად მაღალი განვითარებისათვის. ამგვარად, როცა ფიზიკურ მომზადებაში ყოველმხრივობაზე ვლაპარაკობთ საერთოდ და კერძოდ, ეს არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს ადამიანი ამასთან უეჭველად უნდა აღწევდეს მაქსიმალურად მაღალ შედეგებს უკლებლივ ყველა სახეობაში. ეს იქნებოდა ყოველმხრივობის არსის პრინციპულად არა სწორი გაგება, როგორც საბჭოთა აღზრდის ძირითადი მიზნისა.

ყოველმხრივობა — ეს ჰარმონიულობაა, ეს არის ყველა ორგანოსა და ნაწილის თანაზომიერი პროპორციული, სწორი შეხამება, რის შედეგადაც ვლინდება ადამიანის მოქმედების შესაბამისობა, სიზუსტე, შეთანხმებულობა.

ამგვარად, როცა ვლაპარაკობთ ფიზიკურ განვითარებაში ყოველმხრივობაზე, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ადამიანის ყველა მხარის (სისტემისა და ორგანოების) და არა მხოლოდ მისი ცალკეული ფუნქციების განვითარება, მაგრამ ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება, ესე იგი ადამიანის ფიზიკური და სულიერი თვისებების მომზადების გარკვეული საშუალო დონე, არ უარყოფს ფიზიკური განვითარების „ნაირმხრიობას", მაგალითად, ფიზიკური მომზადების საერთო საშუალო დონის მიღწევისას (კერძოდ, საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის მშთ-ს ნორმების მომზადებისა და ჩაბარების ბაზაზე). ესე იგი ერთ დონეზე სხვადასხვა ძირითად მოძრაობით მოქმედებათა დაუფლებისას, შეიძლება დასპეციალება სპორტის ორ-სამ სახეობაშიც კი. ფიზიკურ აღზრდაში, მათ შორის სპორტულ წვრთნაში, მუშაობა ისე უნდა წარმოებდეს, რომ არ ხდებოდეს ადამიანის რომელიმე ერთი ფუნქციის განვითარება სხვა ფუნქციების რეგრესის ხარჯზე.

შეიძლება მოყვანილ იქნას მარქსისა და ენგელსის ბევრი გამონათქვამი ყოველმხრივი განვითარებისა და აღზრდის სოციალისტური სისტემისათვის, მისი გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ. „კაპიტალის" პირველ ტომში კ. მარქსი წერდა: „...საფაბრიკო სისტემიდან, როგორც ეს დაწვრილებით შეიძლება დავინახოთ რობერტ ოუენის ნაწერებში, აღმოცენდა ჩანასახი მომავალი აღზრდისა, რომელიც გარკვეულ ასაკს ზევით ყველა ბავშვისათვის მწარმოებლურ შრომას სწავლებასა და ტანვარჯიშობას უკავშირებს, და ეს იქნება არა მარტო მეთოდი საზოგადოებრივი წარმოების გასადიდებლად, არამედ — ერთადერთი მეთოდიც ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა შესაქმნელად" (კ. მარქსი, კაპიტალი, ტომი I, 1954 წ. გვ. 611-612).

სამწუხაროდ, ზოგიერთ სპეციალისტს სწორედ არ აქვს გაგებული ფ. ენგელსის ეს ციტატა: „მთავარი აქ ისაა, რომ ყოველი წინსვლა ორგანულ განვითარებაში ამავე დროს რეგრესიცაა, ვინაიდან იგი ცალმხრივი განვითარების ფიქსირებას ახდენს და განვითარების შესაძლებლობას მრავალი სხვა მიმართულებით გამორიცხავს" (ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954 წ, გვ. 326).

ვეყრდნობით რა ზემონათქვამს, საჭიროა საბჭოთა ადამიანების ყოველმხრივი ფიზიკური მომზადებისათვის მუშაობა მოვაწყოთ ისე, რომ უშუალოდ ფიზიკურ განვითარებასთან ერთდროულად მომეცადინეებმა შეძლონ თავიანთი კარგი ფიზიკური განვითარება გამოიყენონ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

სწორედ ფიზიკური მომზადების ყოველმხრივობა არის ერთ-ერთი მთავარი პირობა, რომელიც ფიზიკურ აღზრდაში, აგრეთვე სპორტში ჩაბმულთა იდეურ-პოლიტიკურ მომზადებასთან ერთად, უზრუნველყოფს ჯანმრთელობის განმტკიცებას, ორგანიზმის სწორ ზრდას და განვითარებას და კავშირს შრომითს პრაქტიკასა და თავდაცვით საქმიანობასთან.

ადამიანის ფიზიკური აღზრდა ობიექტური პროცესია, რომელსაც აქვს თავისი კანონზომიერებანი. ამ კანონზომიერებათა შესწავლა და მისი გაუმჯობესების გზების ძებნა — ჭეშმარიტად ფიზიკური აღზრდის შესახებ საბჭოთა მეცნიერების ამოცანა.

ვ. ელაშვილი,
დოცენტი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: ქუთაისის ავტოქარხნის ძალოსანთა საწვრთნელ მეცადინეობაზე, მწვრთნელი დ. ბასილაძე მითითებას აძლევს ქუთაისის ჩემპიონსა და რეკორდსმენს მძიმე წონაში ბ. კუჭუხიძეს.
ფოტო ი. იუნაევისა.

## ასპარეზობენ მძლეოსნები

ჩატარდა ოჩამჩირის რაიონის სოფლის საშუალო სკოლების მძლეოსანთა სპარტაკიადა. სახეობების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ გოგონათა შორის ე. ჩაკრიანი (არაკიჩი), ვ. ოსია (კვიტოული), რ. ხაჯიმბა (მოქვი), ვ. სანგულია (ჭლოუ), ვ. ფილავანიძე (კვიტოული), ჭაბუკთა შორის—ზ. სილაგაძე (ახალი კინდღი), ი. ჯოპუა (ჭლოუ), ლ. ელბაქიძე (ახალი კინდღი), რ. ბიგვავა (მოქვი), ვ. ადლეიბა (ჭლოუ), კ. ჭყონია (კვიტოული), ს. ქაცბა (ჭლოუ), კ. დადიანი (არაკიჩი), ო. წიფიანი (კოჩარა), ს. ბიგვავა (მოქვი).

გუნდური პირველობა მოიპოვეს არაკიჩის საშუალო სკოლის სპორტსმენებმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ კოჩარის საშუალო სკოლის მოსწავლეები, ხოლო მესამეზე — ახალი კინდღის საშუალო სკოლის მძლეოსნები.

შეჯიბრების მსვლელობაში III თანრიგის ნორმატივები შეასრულა 6 სპორტსმენმა, მოზარდთა თანრიგისა — 18-მა.

ვ. დოხნაძე

## მოსწავლეთა სპარტაკიადები

**მოსკოვი.** ნორჩ პიონერთა სტადიონზე ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სასკოლო კოლექტივების I სრულიად რუსეთის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო რუსეთის ფედერაციის საშუალო სკოლების 40-მა საუკეთესო გუნდმა. დედაქალაქის სტუმრები იყვნენ მოსწავლეები იაკუტსკიდან და კალინინგრადიდან, არმავირიდან და მინუსინსკიდან, არხანგელსკიდან და კრასნოკამსკიდან.

კარგი შედეგი აჩვენეს ლენინგრადის 477-ე სკოლის მოსწავლეებმა. ამ სკოლის მოსწავლემ ვ. პეტროვამ გოგონათა შორის გაიმარჯვა სიმაღლეზე ხტომაში შედეგით — 1 მ 62 სმ (საქართველოს მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე საუკეთესო შედეგი იყო 1 მ 61 სმ), ხოლო ჭაბუკებს შორის ლ. ცელისშჩევმა სიმაღლეზე ხტომაში აჩვენა 1 მ 85 სმ.

**ტალინი.** 5 დღის განმავლობაში ჰქონდათ დათმობილი ესტონეთის დედაქალაქის საუკეთესო სპორტული ბაზები ნორჩ სპორტსმენებს. 2500-ზე მეტი მოსწავლე სპორტის 11 სახეობაში იბრძოდა ბავშვთა სპორტული საზოგადოება „ნოორუსის" („სიჭაბუკე") ჩემპიონთა ტიტულებისათვის.

დაძაბულად მიმდინარეობდა შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელშიც საერთო პირველი ადგილი დაიკავეს ქ. ტარტუს მოსწავლეებმა. საუკეთესო შედეგი ჰქონდა სიმაღლეზე ხტომაში იარვა-იანის საშუალო სკოლის მოსწავლეს ტ. სავის, რომელმაც რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა ჭაბუკებს შორის შედეგით — 1 მ 92 სმ. ქ. პიარნუს წარმომადგენელმა ე. რაპემ გოგონებს შორის სიმაღლეზე ხტომაში 1 მ 55 სმ გადალახა და რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა.

I ჯგუფის გუნდებს შორის საერთო პირველი ადგილი დაიკავეს ქ. ტარტუს მოსწავლეებმა, მეორე — ტალინის ცენტრალური რაიონისა და მესამე — ვილიანდის მოსწავლეებმა.



სურათებზე: მარჯვნივ — „ნორჩი დინამოელის" კრივის სექციის მეცადინეობას ატარებს მწვრთნელი გ. ბუმბიაშვილი. მარცხნივ — საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ესტაფეტაში გამარჯვებულ თბილისელ გოგონათა გუნდი.

ფოტო გ. თარალაშვილისა.





## „დინამო"

ბათუმში ჩატარდა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირველობა მძლეოსნობაში. ქალთა შორის 100 მეტრზე რბენაში ფინიშთან პირველი იყო თბილისელი ოსტატი ა. ოვივიანი — 12,4, ვაჟთა შორის ზ. ჯარაშნელი—10,7 წ. მასვე დარჩა პირველობა 200 და 400 მ რბენაში. ბათუმელმა სპორტის ოსტატმა ლ. ტუღუშმა ბადრო ტყორცნა 51,86 მეტრზე, ხოლო ბირთვი ჰკრა 12,81 მეტრზე და გაიმარჯვა ქალთა შორის. მ. ტუღუშმა პირველი ადგილი დაიკავა 110 და 200 მეტრზე თარჯრბენში. რ. ქოჩლაძემ ყველას აჯობა 80 მეტრზე თარჯრბენში — 11,5.

ვ. ბლიაძემ (თბილისი) ვაჟთა შეჯიბრებაში ორი გამარჯვება მოიპოვა; ბადრო ტყორცნა 43,58 მეტრზე და ბირთვი ჰკრა 15,62 მეტრზე, ვ. კაზამბა (აფხაზეთი) გამარჯვებული გამოვიდა ვაჟთა შორის უროს ტყორცნაში — 65,24 მ. ნ. თვაურმა (თბილისი) მოიგო 1500 მეტრზე რბენა, ხოლო ბ. სიმაკოვმა სიგრძეზე ხტომა — 7,11 მ და სამხტომი — 14,68 მ.

პ. კებაბჩიანი

## „ლოკომოტივი"

ამას წინა თბილისში გაიმართა „ლოკომოტივის" საგზაო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ცურვა, ძალოსნობა და კალათბურთი.

მძლეოსანთა შეხვედრები დამთავრდა თბილისის, სამტრედიისა და ერევნის განყოფილებათა გუნდების გამარჯვებით. პირად ჩათვლაში უპირატესობა თითქმის მთლიანად თბილისელთა მხარეს იყო, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალთა შორის ფ. სტრახერის გამარჯვება 100 მეტრზე რბენაში. ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის პირველი იყო ლ. ანთაძე. ბადროს ტყორცნაში რესპუბლიკის რეკორდსმენმა გ. ჩადუნელმა პირველი ადგილი დაიკავა შედეგით — 52 მ 96 სმ, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, აგრეთვე სამხტომი მოიგო გ. გორბაჩოვმა. ქალთა შორის ბირთვის კვრაში უძლიერესი იყო ს. ლევიცკაია (ბათუმი) და სხვ.

ცურვაში, რომელიც ორთაჭალის აუზში ჩატარდა, კვლავ აშკარა იყო თბილისის რკინიგზელთა უპირატესობა.

ი. ხაბეიშვილი

## „შრომითი რეზერვები"

ქუთაისში დამთავრდა პროფტექნიკური განათლების სასწავლებლების მოსწავლეთა პირველი რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო 6 სახეობა. გამარჯვებისათვის იბრძოდა თბილისის, ქუთაისისა და გორის კოლექტივები. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისის მე-6 სასწავლებლის (ინსტრუქტორი ზ. ხატიაშვილი) სპორტსმენებმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ქუთაისის მე-3 და მე-2 სასწავლებლები.

ცალკეულ სახეობებში თბილისის მე-6 სასწავლებლის სპორტსმენებმა პირველი ადგილები მოიპოვეს ქალთა მძლეოსნობაში, ტანვარჯიშსა და მაგიდის ჩოგბურთში. ქუთაისის მე-3 სასწავლებელმა — ფეხბურთში, მძლეოსნობაში და კალათბურთში ვაჟთა შორის. კალათბურთელ გოგონათა შორის უძლიერესი იყო ქუთაისის მე-7 სასწავლებელი, ხოლო თავისუფალ ჭიდაობაში — ქუთაისის მე-2 სასწავლებელი, ვაჟთა შორის ტანვარჯიშსა და მაგიდის ჩოგბურთში უძლიერესნი იყვნენ თბილისის პირველი სასწავლებლის სპორტსმენები.

ი. რუხაძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# საკავშირო შეჯიბრების წინ

სოხუმში სამი დღის განმავლო-
ბაში მიმდინარეობდა საქართვე-
ლოს პირად-გუნდური პირველო-
ბა სასტენდო სროლაში. ამინდმა
და შეჯიბრების კარგმა ორგანიზა-
ციამ ხელი შეუწყო მონაწილეებს
მაღალი შედეგების ჩვენებაში.
ადგილიდან სროლაში კარგი
სპორტი აიღეს სპორტის ოსტატებ-
მა ზ. მაჩხანელმა და ი. საგანელი-
ძემ, რომლებმაც პირველ სერია-
ში არცერთ სამიზნეს არ დააცი-
ლეს, მომდევნო სერიებში ორივე
თანაბრად ბრწყინვალედ ისროდა
და სამი სერიის ჯამში მაჩხანელ-
მა 75 ქულას, ხოლო საგანელიძემ
ერთით ნაკლებს მიაღწია. დაიწყო
უკანასკნელი — მეოთხე სერია.
ჩვეულებრივ ესვრის ზ. მაჩხანელი,
იგი გასროლიდან არც ერთ სა-
მიზნეს არ აცდენის, მხოლოდ
ოცდარამეტემ „დაალწია“ თავი. სა-
განელიძე მეოთხე სერიაში ნერ-
ვიულობდა და მხოლოდ 21 სამი-
ზნის დაზიანება შეძლო. ზუსტად
ესროდა ქუთაისელი პირველთან-
რიგოსანი შ. ღულაძე, რომელსაც
მხოლოდ ერთი ქულა დააკლდა
სპორტის ოსტატის ნორმატივის
შესასრულებლად (მან 94 სამიზნე
დააზიანა).

— ხვალინდელი დღე წინაა,
ვეცდები დანაკლისი ავინაზღაუ-
რო.—იმედს არ კარგავდა შ. ღუ-
ლაძე.

შეჯიბრების მეორე დღეს გრძე-
ლდებოდა სროლა ადგილიდან.
ლიდერმა მაჩხანელმა წინა დღით
ნაჩვენები შედეგი გააუარესა ორი
ქულით და საერთო ჯამში დააზი-
ანა რა 196 სამიზნე 200 შესაძ-
ლებლიდან, მოიპოვა საქართვე-
ლოს ჩემპიონის საპატიო სახელი.
ამ დღეს უკეთესად ესროდა შ.
ღულაძე, რომელმაც დააზიანა რა
96 სამიზნე 100 შესაძლებლიდან,
ერთი ქულით გადააჭარბა სპორ-
ტის ოსტატის ნორმას და დაიკავა
მეორე საპრიზო ადგილი.

გუნდური ადგილები შემდეგ-
ნაირად განაწილდა: თბილისი —
211 ქულა, აფხაზეთი — 843, აჭა-
რა — 755.

პირველობის უკანასკნელ დღეს
მიმდინარეობდა სროლა მრგვალ
სტენდზე. აქ პირველი ადგილი
დაიკავა ბ. ანტონოვმა. მას ერთი
ქულით ჩამორჩა ლ. სიმონიანი.
მესამე ადგილი წილად ხვდა მახა-
რაძელ ბ. მეგრელაძეს.

სროლის ორივე სახეობის კომპ-
ლექსში გაიმარჯვა თბილისის ნა-
კრებმა გუნდმა ზ. მაჩხანელის, ი.
საგანელიძის, ბ. ანტონოვის, ვ.
ჯაფარიძის, ლ. სიმონიანისა და
პირველთანრიგოსან ო. ნუკარაძის
შემადგენლობით.

ბევრი დაწერილა პრესაში, გა-
დაწყვეტილებებიც ბევრი მიუ-
ღიათ, მაგრამ სასტენდო სროლა-
ში, მასობრიობის საკითხი დღემ-
დე ვერ გადაწყდა. სპორტის ამ სა-
ხეობის მოყვარულები კი ბევრია.
ავიღოთ ქუთაისის მაგალითი. მო-
უწყობელ სტენდზე ვეტერან კ.
ლორიას საქმისადმი სიყვარულის
წყალობით გამოვლინდა ნიჭიერი
მსროლელი შ. ღულაძე. რამდენი
ასეთია მოძებნა შეიძლება სტენდს
სათანადო ყურადღება რომ ექცე-
ოდეს.

მადლობის ღირსია „აფხაზმონ-
კავშირის“ გამგეობა (თავმჯდომარე
რესპუბლიკის დამსახურებული
მწვრთნელი, სპორტის ოსტატი
გ. ნოდია), რომელმაც ხელი შეუ-
წყო შეჯიბრების მაღალ დონეზე
ჩატარებას.

პირველობის დამთავრების შემ-
დეგ საქართველოს ნაკრები, რო-
მელიც ჯერ სოხუმში, ხოლო შემ-
დეგ მოსკოვში გაივლის სათანადო
ვარჯიშს, მონაწილეობას მიიღებს
საკავშირო პირად-გუნდურ პირვე-
ლობაში (გაიმართება მოსკოვში
25-28 ივლისს).

**დ. ცომაია,**
**სასტენდო სროლის მთავარი მწვრთნელი.**

**ჯ. მოწონელიძე,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**



• • •

**სურათზე:** ქუთაისელი შ. ღულაძე, რომელმაც ოსტატობა შეასრულა.

# მთელი ძალები გამარჯვებისათვის

მას წინათ გაზეთ „ლელოში“
გამოქვეყნდა ჩემი წერილი: „მე
და ჩვენი გუნდისა“. ეს იყო
პერიოდში, როცა დინამოელთა
გუნდში ყველაფერი წესრიგზე არ
იყო. გულშემატკივართა ერთი ნა-
წილი სკეპტიკურად იყო განწყო-
ბილი აღნიშნული წერილის მი-
მართ, მაგრამ ჩემს რწმენას საფუ-
ძვლად ედო არა პირადი გრძნო-
ბები და სიყვარული დინამოელთა
მიმართ, არამედ გუნდის შემად-
გენლობის, მისი პოტენციური ძა-
ლების, საერთო შესაძლებლობათა
ანალიზი და ვფიქრობ, რომ ჩემს
მოსაზრებებში მე მარტო არ
ვიყავი.

ავიღოთ გუშინდელი მატჩი ხა-
რკოვის „ავანგარდთან“. რა დასა-
მალია, რომ ეს იყო დინამოელთა
ერთ-ერთი ყველაზე ძნელი და და-
ძაბული შეხვედრა, სადაც გუნდი
მატჩის განმავლობაში მრავალი
საშიშროების წინაშე იმყოფებოდა და
იყო მომენტები, როცა ეს სიძნე-
ლეები შეიძლებოდა საბედისწერო
შედეგითაც დამთავრებულიყო
თუნდაც მაშინ, როცა თბილისე-
ლთა კარში დაინიშნა 11-მეტრია-
ნი საჯარიმო და სოკოლოვმა და-
რტყმა საოცარი არასიზუსტით
შეასრულა).

ხარკოველები ხშირად ასწრებ-
დნენ დინამოელებს საერთო მოქ-
მედებაში. მათს თამაშში იგრძნო-
ბოდა განუწყვეტელი დინამიკა, შე-
უნელებელი ტემპი, დაუცხრომელი
მონდომება და ბრძოლისუნარია-
ნობა. ეს იყო არა შიშველ ენთუ-
ზიაზმზე აგებული თავგანწირუ-
ლი თამაში, არამედ წინასწარ მო-
ფიქრებული და გააზრებული გეგ-
მა, მოთამაშეთა საკმაოდ ორიგი-
ნალური განლაგება, რომელსაც
შეიძლება ბევრმა დაცვითი ვარი-
ანტი უწოდოს, მაგრამ ეს სრული-
ადაც არ უშლის ხელს „ავანგარ-
დის“ ფეხბურთელებს საიმედოდ
ჩაკეტონ კარის მისადგომები, მკა-
ცრი კონტროლის ქვეშ იქონიონ
მინდვრის შუაგული და სრული
ეფექტით აწარმოონ ხანგრძლივი,
ეფექტური იერიშებიც. მათ კარ-
გად გამოიყენეს ის დაყოვნება, რო-
მელიც აქვთ თბილისელებს ბურთის

●

თბილისი. „ბურევესტნიკის“
სტადიონი. 8 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი)-„ავანგარდი“
(ხარკოვი) — 1:0 (0:0).

„ავანგარდი“: უგრაიცკი; ონისკო,
მარენკო, სოკოლოვი; მასლენიკო-
ვი, ტოდოროვი; ნესტეროვი, მანგა-
საროვი, პანფილოვი, კოროლკოვი,
ხაჩატუროვი.

„დინამო“: კოტრიკაძე; ჩოხელი,
თორაძე, ხოჯოლავა; ზეინკლიშვი-
ლი, იამანიძე; დათუნაშვილი, ბარქა-
ია, კალოევი გ. სიჭინავა, მესხი.

მსაჯი ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

●

მიღების მომენტში და მეტად ნა-
ყოფიერი ურთიერთდაზღვევა მო-
აწესრიგეს რგოლების საერთო მო-
ქმედებაში.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ
ხარკოვის „ავანგარდმა“ მთელი
თავისი შესაძლებლობანი 100 პრო-
ცენტით ჩააქსოვა ამ მატჩში, მა-
შინ, როცა დინამოელებმა გამოიყე-
ნეს თავიანთი პოტენციალის მხო-
ლოდ 70 პროცენტი, დანარჩენი კი
გამოუყენებელ, უსარგებლო რეზე-
რვში დაიტოვეს, თუმცა ძნელი
მატჩი აშკარად მოითხოვდა მაქსი-
მუმს.

ამის ნათელი მაგალითია გუნ-
დის თამაში მარცხენა ფრთაზე. აქ
ჩვენ გვყავს ბრწყინვალე გარემა-
რბი — მ. მესხი და გასაოცარია,
რა „ფუფუნების“ უფლებას ვაძ-
ლევთ ჩვენს თავს, როცა მას ვი-
ყენებთ ყველა სხვა თავდამსხმელ-
ზე უფრო ნაკლებად. იყო მომენ-
ტები, როცა ბურთი ჰქონდა იამა-
ნიძეს, მის გვერდით იმყოფებოდა
მესხი, მოძრაობდა, იხსნებოდა გა-
დაცემის მისაღებად, ხმამაღლა
თხოვდა პარტნიორს ბურთს, მაგ-
რამ იამანიძე მკვეთრად ცვლიდა
თამაშის მიმართულებას და სულ
სხვა მხარეს გადაყავდა იგი. ანა-
ლოგიურად იქცეოდნენ სხვებიც.
კიდევ მეტიც. იყო მომენტები,
როცა წყდებოდა უაღრესად საპა-
სუხისმგებლო მატჩის ბედი, საჭი-
რო იყო მესხის ყოველმხრივი
გამოყენება, მისი მთლიანად ჩარ-
თვა თამაშში და ამ დროს ეს ყვე-
ლაზე მახვილი, სწრაფი და ეფექ-
ტური ფორვარდი გამოუყენებელი
რჩებოდა. სადაა ლოგიკა?!

ყველასათვის ცნობილია, რომ
თბილისის „დინამო“ მეტად მა-
ღალტექნიკური გუნდია, მაგრამ
ჩვენი მოთამაშეები რაციონალუ-
რად არ იყენებენ ამ მაღალტექნი-
კას, იგი არ ჩანს იმიტომ, რომ
მოწინააღმდეგეები უფრო ადრე
გადიან ბურთზე საბრძოლველად
და ამიტომ დინამოელებს გამოს-
დით მძიმე, დაძაბული თამაში,
სადაც იხარჯება აუარებელი ენერ-
გია, დრო და ძალები. გასაკვირია,
მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ხშირად
ჩამოვრჩებით მეტოქეებს სისწრა-
ფეში, ტემპერამენტსა და გამძლე-
ობაშიც.

ბევრჯერ ითქვა იმის შესახებ,
რომ თბილისელები უამრავ წუნს
უშვებენ გადაცემებისას. ბურთის
გათამაშება, როგორც წესი, წარ-
მოებს უახლოეს პარტნიორებს შო-
რის, მინდვრის სიგანეზე და ეს მა-
რტივი კომბინაციები ერთობ იოლი
ამოსახსნელია მოწინააღმდეგეთათ-
ვის. ამ მხრივ გამონაკლისს წარ-
მოადგენს ის კომბინაცია, რომე-
ლიც მეორე ტაიმის 36-ე წუთზე
გოლით დაამთავრა ბარქაიამ, თუმ-
ცა ეს უკანასკნელი განვლილ მატ-
ჩში არ იდგა თავის სიმაღლეზე,
ისევე, როგორც ჩოხელი და ზეინ-
კლიშვილი.

ამჟამად „დინამოს“ კარგი ად-
გილი უკავია გათამაშების ცხრილში.
არის საუკეთესო პერსპექტივები
და მათი გამოუყენებლობა ყოვ-
ლად დაუშვებელია. ჩვენს გუნდს
შეუძლია უკეთ თამაში და მან უნ-
და ითამაშოს კიდეც. საამისოდ კო-
ლექტივმა საჭიროა მთელი თავისი
შესაძლებლობებით იმოქმედოს იქ,
სადაც ეს საჭიროა, მაქსიმალუ-
რად გამოიყენოს სიახლეები, მოუ-
ლოდნელობანი, მოთამაშეთა მაღა-
ლი კლასი. საქართველოს საუკეთე-
სო გუნდს აქვს საამისო ძალა და
საშუალებანი.

**ა. გალპერინი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

* * *

თბილისის „დინამოსა“ და ხარ-
კოვის „ავანგარდის“ დუბლშემად-
გენლობათა მატჩი დამთავრდა ან-
გარიშით 2:0 ხარკოველთა სასარ-
გებლოდ.

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 9 ივლისისათვის

I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 12 | 10 | 1 | 1 | 25:10 | 21 |
| ს კ ა (როსტოვი) | 14 | 8 | 2 | 4 | 31:14 | 18 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 15 | 6 | 6 | 3 | 23:21 | 18 |
| „დინამო“ (თბილისი) | 14 | 7 | 3 | 4 | 20:11 | 17 |
| „ავანგარდი“ (ხარკოვი) | 14 | 6 | 5 | 3 | 13:10 | 17 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 14 | 4 | 7 | 3 | 14:13 | 15 |
| „შახტიორი“ (სტალინო) | 15 | 5 | 5 | 5 | 14:15 | 15 |
| „ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი) | 14 | 4 | 2 | 8 | 13:20 | 10 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 15 | 3 | 4 | 8 | 13:21 | 10 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 15 | 2 | 4 | 9 | 16:31 | 8 |
| „სპარტაკი“ (ვილნიუსი) | 14 | 1 | 5 | 8 | 12:28 | 7 |

II ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 14 | 9 | 3 | 2 | 30:11 | 21 |
| ც ს კ ა | 14 | 9 | 2 | 3 | 39:21 | 20 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 14 | 7 | 4 | 3 | 25:26 | 18 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 14 | 6 | 4 | 4 | 21:13 | 16 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 15 | 5 | 5 | 5 | 19:19 | 15 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 15 | 5 | 4 | 6 | 26:25 | 14 |
| „სპარტაკი“ (ერევანი) | 14 | 4 | 6 | 4 | 20:23 | 14 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 14 | 4 | 5 | 5 | 16:21 | 13 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 15 | 4 | 5 | 6 | 17:23 | 13 |
| „ბელარუსი“ (მინსკი) | 15 | 2 | 5 | 8 | 13:22 | 9 |
| „კალევი“ (ტალინი) | 14 | 0 | 5 | 9 | 10:32 | 5 |

I ჯგუფი

სკა (როსტოვი)-„დაუგავა“ (რიგა) — 6:1
„შახტიორი“ (სტალინო)-„ტრუდი“ (ვორონეჟი) — 1:0
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 1:1

II ჯგუფი

„დინამო“ (კიევი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი) — 2:0
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)-ცსკა — 2:1.
„კალევი“ (ტალინი)-„დინამო“ (მოსკოვი) — 0:0

# აღმაშფოთებელი საქციელი

**თბილისელი სპორტის მოყვარუ-
ლები, თბილისელი მაყურებლები
ცნობილი არიან თავიანთი ობიექ-
ტურობით, მაღალი კულტურითა
და სტუმართმოყვარეობით, მაგრამ
ის, რაც „გულშემატკივართა“ ერთ-
მა ჯგუფმა ჩაიდინა გუშინ თბილი-
სის „დინამოსა“ და ხარკოვის „ავა-
ნგარდის“ ფეხბურთელთა მატჩის
მსვლელობაში, აღმაშფოთებელია.**

**მოხდა თბილისის სპორტულ სი-
ნამდვილეში წარმოუდგენელი რამ:
ტრიბუნებიდან ცვიოდა ბოთლები
და ქვები. ცვიოდა იქით, სადაც იხ-
დნენ სათადარიგო მოთამაშეები და
მწვრთნელები.**

**ჩვენ ვიცით, რომ ესენი იყვნენ
ცალკეული ხულიგნები, აღვირახს-
ნილი პიროვნებანი. რას აკეთებდ-
ნენ ამ გარეწრების გვერდით მჯდო-
მნი, რად არ უშლიდნენ ხელს
მათ, არ მოუწოდეს წესრიგისაკენ?**

**საჭირო წესრიგის დაცვა სტადი-
ონზე თვითეული ჩვენგანის უპირ-
ველესი მოვალეობაა. ეს ხულიგ-
ნები ჩირქს გვცხებენ ჩვენ—თბი-
ლისელ სპორტის მოყვარულებს,
ამიტომ მათ მიმართ უნდა მივი-
ღოთ უმკაცრესი, უსასტიკესი ზო-
მები.**

**შ. ფარცვანია, რ. ჩირგაძე,
ო. ცაგარელი, ნ. სულხანი-
შვილი, ა. დიდებულიძე.**

# ზონალურ შეჯიბრებაზე

ბათუმის „სპარტაკის“ კორტებზე
დღეს დამთავრდება საბჭოთა კავ-
შირის ჩოგბურთელთა ზონალური
შეჯიბრება პირად პირველობაზე.
მონაწილეთა შორის არიან საბჭოთა
კავშირის ჩემპიონი მ. მოზერი,
სპორტის დამსახურებული ოსტა-
ტი ნ. ოზეროვი, საქართველოს
ჩემპიონი ქალთა შორის რ. აბჟან-
დაძე და სხვანი.

ნ. ოზეროვმა, რომელიც კარგ
სპორტულ ფორმაში იმყოფება, თა-
ვისათვის ხელსაყრელი ტემპი შეს-
თავაზა თბილისელ გ. მუსაელიანს,
ამ უკანასკნელმა თამაში ვერ ააწ-
ყო და ზედიზედ წააგო სამივე
პარტია.

ნახევარფინალში გასვლის უფლე-
ბის მოსაპოვებლად პ. მეტრეველი
შეხვდა მ. მოზერს, მაგრამ და-
მარცხდა. შემდეგ ეტაპზე მოზერ-
მა დაამარცხა ნ. ოზეროვიც და
ფინალში შეხვდება გ. ღარიბა-
შვილს.

ქალთა შორის ფინალში გასვ-
ლის უფლება უკვე გაინაღ-
დეს როსტოველმა სპორტის ოს-
ტატმა ვ. ტროშკინამ, ბაქოელმა ი.
სოროკინამ, ტ. სმეტენკომ და რ.
აბჟანდაძემ.

## 12 ქულის განსხვავებით

**გუშინ, თბილისში, სპორტის სა-
სახლეში შედგა მორიგი კალენდა-
რული მატჩი სსრ კავშირის პირ-
ველობაზე კალათბურთში. ითამა-
შეს თბილისის „დინამოსა“ და
ლენინგრადის „ბურევესტნიკის“
გუნდებმა.**

**შეხვედრა დამთავრდა თბილი-
სელთა გამარჯვებით ანგარიშით
78:66 (37:25).**

ლ ე ლ ო
მე-3 გვ. № 95 (1731)

# 32 გუნდის მონაწილეობით

დაიწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობს ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჰოლანდიის, შვეციისა და შვეიცარიის 32 გუნდი. შეჯიბრების მონაწილეები დაყოფილი არიან 8 ზონად. შეჯიბრება ორ წრედ მიმდინარეობს, ზონებში გამარჯვებული რვა გუნდი უძლიერესის სახელის გამოსავლინებლად ითამაშებს ოლიმპიური სისტემით.

როგორი მდგომარეობაა დღეისათვის ზონებში? პირველ ზონაში ლიდერობს ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატის პრიზიორი „სლოვანი" (ბრატისლავა), რომელსაც ერთი ქულით ჩამორჩება გდრ-ს ჩემპიონი — ბერლინის „ფორვერტსი". მეორე ზონაში წინაა ჩეხოსლოვაკიის მეორე წარმომადგენელი „ბანიკი" (ოსტრავა). მესამე ზონაში ბერლინის „დინამო" ერთი ქულით უსწრებს ავსტრიის მრავალგზის ჩემპიონს „ვინერ შპორტკლუბს". მეოთხე ზონაში ჩინებული სტარტი აიღო ავსტრიის „ვიენამ", რომელმაც სძლია ლაიპციგის „ლოკომოტივსა" (2:0) და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ექსჩემპიონს „კიკერსს" (ოფენბახი). მეხუთეში — ლიდერია ჰოლანდიის არაერთგზის ჩემპიონი „ფეიენორდი" (ამსტერდამი), მეექვსეში — „ფკ პრიმაზენსი" (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), მეშვიდეში — პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ შვეციის გუნდები „გეტებორგი" და „ვენლო", ხოლო მერვეში—„სპარტაკი" (როტერდამი).



**ჩვენი გაზეთის მკითხველს, ვ. მამალაძეს აინტერესებს მატჩი მსოფლიო პირველობაზე ქვემძიმე წონის პროფესიულ მოკრივეებს არჩი მურსა (ამერიკის შეერთებული შტატები) და ჯულიო რინალდის (იტალია) შორის. ვათავსებთ მიმოხილვას წლევანდელი კრივის სეზონის ამ ერთ-ერთი ცენტრალური მატჩის შესახებ.**

მსოფლიო ჩემპიონმა ქვემძიმე წონაში, შესანიშნავმა ზანგმა მოკრივემ არჩი მურმა კიდევ ერთხელ დაიცვა თავისი წოდება. ამ ფაქტმა არ შეიძლება არ გააოცოს კრივის მრავალრიცხოვანი მოყვარულები, მით უმეტეს, რომ არჩი მურმა დიდი ხანია „გადალახა" ყოველგვარ ასაკობრივ ზღვარს. „კრივის საკვირველებად" წოდებული არჩი მური 47 წლისაა!

მსოფლიო ჩემპიონის მეტოქე იყო 26 წლის იტალიელი ჯ. რინალდი—მეტად ღონიერი და ტექნიკური მოკრივე უკანასკნელი წლების მანძილზე სწრაფად დაწინაურდა ევროპაში. მან მეზაჯერს საბაბი მისცა „საქმე აღეძრა" თვით არჩი მურთან, რინალდი დიდხანს და კეთილსინდისიერად ემზადებოდა მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრისათვის, თავის მხრივ არჩი მურიც მეტად სერიოზულად მიუდგა თავის ახალგაზრდა მეტოქესთან შეხვედრას. ყოველდღიური ვარჯიშით ფორმა აღიდგინა და ხანგრძლივი შეუპოვარი მატჩისათვის მოემზადა.

მატჩს ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" 10-ათასი მაყურებელი ესწრებოდა. მრავალი სპორტული მიმომხილველი და რეპორტიორი შეხვედრის ადგილიდანვე გადასცემდა თავის რედაქციას მატჩის მნიშვნელოვან დეტალებს. გაზეთმა „უნიტამ" რომიდან ნიუ-იორკს „აფრინა" სპეციალური მიმომხილველი, რომელმაც ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საინტერესო ინფორმაცია გამოუგზავნა რედაქციას. გამარჯვებულის გასამრჯელო იყო 100-ათასი დოლარი, დამარცხებულისა კი — 25 ათასი. ამ მატჩში მური მეცხრედ იცავდა ჩემპიონის წოდებას.

შეხვედრის დასაწყისში რინალდი მეტად აქტიურობდა და მოიგო კიდეც პირველი სამი რაუნდი. შემდეგში არჩი მურმა რომელიც საოცარი სიმკვირცხლით მოძრაობდა რინგზე, შესძლო მატჩში გარდატეხის შეტანა. 10 რაუნდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა იტალიელს სულ უფრო და უფრო უჭირდა ბრძოლა, მსოფლიო ჩემპიონი კი თანდათან უმატებდა ტემპს. მიმომხილველები აღნიშნავენ არჩი მურის სამაგალითო კეთილშობილებას რინგზე. ერთ-ერთი შეტევისას რინალდიმ ქუსლი დაიზიანა და კოჭლობით დაიხია უკან. არჩი მურმა არ მოისურვა ამ შემთხვევითი უპირატესობის გამოყენება, იგი დამშვიდებით გაეცალა მეტოქეს და მისცა მას ძალღონის მოკრეფის საშუალება. 15-რაუნდიანი ბრძოლის შემდეგ მსაჯებმა ერთხმად მიანიჭეს გამარჯვება „კრივის საკვირველებას", რომელმაც 11 რაუნდი თვალსაჩინო უპირატესობით მოიგო. ბრძოლის დასასრულ რინალდიმ ხაზგასმით აღნიშნა არჩი მურის იშვიათი საბრძოლო თვისებები, ხოლო მსოფლიო ჩემპიონმა მაღალი შეფასება მისცა თავის ახალგაზრდა მეტოქეს.

უახლოეს ხანებში დასავლეთ ევროპაში დაიწყება „ჰალარათმიანი ზანგის" გასტროლები. არჩი მური გამართავს რამდენიმე საჩვენებელ მატჩს.



**მოსკოვში, ძმები ზნამენსკების პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ინდოელმა მორბენალმა ი. სინგხმა.**
**სურათზე: ი. სინგხი ემზადება 400 მ რბენისათვის.**

# ბულგარეთის თასი — ცდნა-ს

დამთავრდა ბულგარეთის თასის გათამაშება ფეხბურთში. გათამაშებაში, როგორც წესი, ძირითად ფავორიტად ითვლება არა ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი **ცდნა**, არამედ სიძლიერით მეორე გუნდი — „ლევსკი", რომელმაც უკვე შვიდჯერ დაისაკუთრა ეს საპატიო ჯილდო. მაგრამ „ლევსკიმ" ამჯერად ნახევარფინალში მარცხი განიცადა და ფინალში გავიდნენ **ცდნა** (სოფია) და „სპარტაკი" (ვარნა).

პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ არმიელთა მარჯვენა გარემარბმა რანკოვმა გახსნა ანგარიში. ამას მოყვა ცანევისა და კოლევის მიერ გატანილი ორი ბურთი და არმიელებმა მოიგეს ფინალური მატჩი ანგარიშით 3:0.

ამგვარად, **ცდნა**-მ წელს დაამყარა „დუბლი" და მოიპოვა, როგორც ბულგარეთის ჩემპიონობა, ისე თასიც.

## ნორჩების სპარტაკიადა

მომზადებული შეხვდა ქვების მრეწველობის პროფკავშირის სურამის პიონერთა ბანაკი წლევანდელ სეზონს. ბანაკმა ფართოდ გაშალა ფიზკულტურული მუშაობა. ამ დღეებში ჩატარდა შიდასაბანაკო სპარტაკიადა სპორტის 7 სახეობაში. უმცროსი ასაკისათვის (9, 10, 11 წწ) სპარტაკიადა ჩატარდა მიზანში ტყორცნაში, ჭადრაკში და შაშში, ხოლო საშუალო ასაკისათვის (12, 13, 14 წწ) — მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ხელბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში. გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი საშუალო ასაკში დაიკავეს პირველი რაზმის პიონერებმა (რაზმის ხელმძღვანელი ჯ. ქურდაძე), უმცროს ასაკში — IV რაზმის პიონერებმა (რაზმის ხელმძღვანელი ე. საბიაშვილი).

**უ. სამადაშვილი**

**ეტიუდი**

ი. ხიდაშელი (ონის რ-ნი)



თეთრები იწყებენ და იგებენ.



**უსიტყვოდ...**

ნახ. ა. ერაძისა.

რედაქტორი
**ი. უგულავა.**



# საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას (1961-62 სასწავლო წელი): 1. ინსტიტუტის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე, 2. ინსტიტუტთან არსებულ ორწლიან მწვრთნელთა სკოლაში.

ინსტიტუტის დასწრებულ განყოფილებაზე მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი განურჩევლად სქესისა 35 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ სპორტის ამორჩეულ სახეობაში III თანრიგი და მშთ-ს კომპლექსის I საფეხური. სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია.

ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა, რომელთაც აქვთ სპორტის ამორჩეულ სახეობაში III თანრიგი, მშთ კომპლექსის I საფეხური და მუშაობენ სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგში. სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია.

ინსტიტუტის მწვრთნელთა სკოლაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქეები განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა, რომელთაც აქვთ სპორტის ამორჩეულ სახეობაში II თანრიგი და მშთ კომპლექსის II საფეხური. სწავლის ვადა 2 წელია.

აღნიშნულ განყოფილებებზე შესვლის მსურველებმა რექტორის სახელზე უნდა წარმოადგინონ განცხადება განყოფილებისა და სპორტის ამორჩეულ სახეობის ჩვენებით, შემდეგი საბუთების თანდართვით:

1. ავტობიოგრაფია.
2. საშუალო განათლების მოწმობა (დედანი).
3. დახასიათება-რეკომენდაცია უკანასკნელ სამუშაო ადგილიდან (მოსწავლეთათვის — სასწავლებლიდან).
4. ოთხი ფოტოსურათი (3X4).
5. ცნობა სამუშაო ადგილიდან (დაუსწრებელი განყოფილებისათვის).
6. საკლასიფიკაციო ბილეთი.
7. მშთ კომპლექსის ჩაბარების ცნობა.
8. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.
9. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286).
10. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან დამოწმებული დაწესებულების მიერ (სამუშაო სტაჟის მქონე პირთათვის).
11. პასპორტი და სამხედრო ბილეთი (წარმოადგინოს პირადად).

ინსტიტუტის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

1. სპორტის ამორჩეულ სახეობაში.
2. სპორტულ მომზადებაში (ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა).
3. ქართულ ენაში (წერა) — ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის.
4. რუსულ ენაში (წერა) — რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის.
5. რუსულ ენაში (ზეპირი) — ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის.
6. უცხო ენაში (ზეპირი) — რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის.
7. ფიზიკაში (ზეპირი).
8. ქიმიაში (ზეპირი).

მწვრთნელთა სკოლაში გამოცდები ტარდება შემდეგ საგნებში:

1. სსრკ-ის ისტორია.
2. ქართული ენა (წერა) — ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის.
3. რუსული ენა (წერა) — რუსულ სექტორზე შემსვლელთათვის.
4. სპორტის ამორჩეულ სახეობაში.

განცხადებების მიღება იწარმოებს 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 49, ტელეფონი — 2-31-60, 2-28-77.


გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო" ტელეფონები: რედაქტორის — 3-59-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05594